

სსიპ ქალაქ თბილისის N 172 საჯარო სკოლის პედაგოგების

თამილა გურულის და ზაიგულ ტვილდიანის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

**9^ბ კლასის მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების გზების კვლევა, ბიოლოგიის და ფიზიკის
გაკვეთილებზე.**

უხსოვარი დროიდან მოყოლებული მოტივაციის ხელშეწყობით მოძრაობს
კაცობრიობის პროგრესი. მოტივაცია მძლავრი მოტორია, რომელიც გაიძულებს,
მიუახლოვდე მიზანს.

სარჩევი

შესავალი-----	1
თავი I-----	5
1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა.	
1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი.	
თავი II-----	6
2.1 პრაქტიკული კვლევის არსი.	
თავი III-----	7
3.1 ლიტერატურის მიმოხილვა.	
თავი IV-----	9
4.1 კვლევის მიზანი.	
4.2 კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები.	
4.3 კვლევის გეგმა.	
თავი V-----	11
5.1 მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები.	
5.2 მშობელთა გამოკითხვის შედეგები.	
5.3 მონაცემთა ანალიზი.	
თავი VI-----	19
6.1 სავარაუდო ინტერვენციები	
6.2 ინტერვენციები.	
6.3 ინტერვენციების ანალიზი.	

თავი VII-----22

7.1 კვლების ვადები.

7.2 კვლევის მიგნებები.

7.3 კვლევის ნაკლოვანებები.

7.4 დასკვნა.

თავი VIII-----26

გამოყენებული ლიტერატურა. დანართები

შესავალი

კვლევა ეხება ქალაქ თბილისის 172 -ე საჯარო სკოლის IX ბ კლასში მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითების პრობლემას, რაც თავის მხრივ მოსწრება-ხარისხის მაჩვენებელში დაბალი შედეგით აისახა.

საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა 2018-2019 წლის პირველი სემესტრის შედეგები, ბიოლოგიის და ფიზიკის პედაგოგებმა დააფიქსირეს მე-9ბ კლასში მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესის მიმართ ინტერესის, მოტივაციის დაქვეითება, რამაც ზეგავლენა მოახდინა მათ აკადემიურ მოსწრებაზე. გაჩნდა კითხვები, თუ რამ გამოიწვია მათი დაბალი მოტივაცია და გადავწყვიტეთ, დაგვეწყო კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება 7 თავისაგან. თავებში თანმიმდევრულად განხილულია ის ეტაპები და ინტერვენციები, რომელიც კვლევის პროცესში დაიგეგმა.

მოკლე ინფორმაცია IXბ კლასის შესახებ.

IXბ კლასს 2018 წლიდან ვასწავლი. მინდა მოგახსენოთ, რომ სწავლების პირველ წელს მოსწავლეთა მხრიდან დიდ დაინტერესებას, ჩართულობას და მოტივაციას ვხედავდი. საგაკვეთილო პროცესი ხალისიანი და საკმაოდ დატვირთული იყო. მოსწავლეები შესაბამისადაც ფასდებოდნენ.

სამწუხაროდ მეცხრე კლასში, რატომღაც, შევნიშნეთ მოსწავლეებში მოტივაციის დაბალი მაჩვენებელი. ისინი ან მოუმზადებელი მოდიოდნენ გაკვეთლზე, ან ნახევრად მზად და ყოველთვის ჰქონდათ სხვადასხვა მიზეზი თავის გასამართლებლად. ჩვენ, რა თქმა უნდა, ესგ-ს გათვალისწინებით დაგვემილ გაკვეთილებს გეგმა ზომიერად ვატარებდი, რაც ისევ პრობლემას იწვევდა მოსწავლეებში, რადგან მათი მზაობის დონე ყოველთვის

ჩამორჩებოდა ახალი მასალის ათვისებისთვის საჭირო დონეს. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს იწვევდა მათში მოტივაციის დაქვეითებას და გადავწყვიტეთ, მოტივაციის ასამაღლებლად მოგვეძიებინა, გაგვეანალიზებინა, კოლეგებთან განგვეხილა და განგვეხორციელებინა შესაბამისი სტრატეგიები.

თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა, პრობლემა და საკვლევი საკითხი.

1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა

უხსოვარი დროიდან მოყოლებული მოტივაციის ხელშეწყობით მოძრაობს კაცობრიობის პროგრესი. მოტივაცია მძლავრი მოტორია, რომელიც გაიძულებს, მიუახლოვდე მიზანს.

მოტივაციის გარეშე, წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა, რადგან მოტივაცია გმატებს ენერჯიას, არის გადამდები და თითქოს უხილავი ძაფებით მიჰყავხარ წარმატებისკენ, რადგან კონცენტრირებული ხარ მხოლოდ შესასრულებელ აქტივობაზე და ნაკლებად ფიქრობ უცაბედ წარმატებებზე. თუმცა ეს არ გამოირიცხავს მწვერვალების მიღწევას. პირიქით, მოტივირებული ადამიანების უმეტესობა ყოველთვის წარმატებულია. ამიტომ, ჩვენ ვალდებულები ვართ, მომავალ თაობებს დავუმტკიცოთ მოტივირებული ადამიანების უსაზღვრო შესაძლებლობები და დავაინტერესოთ ისინი გლობალური საკითხების გაცნობა, განხილვა, გაანალიზებაში.

1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი

პრაქტიკული კვლევა ჩავატარეთ 172 საჯარო სკოლის 9^ბ კლასში. კლასში არის 25 მოსწავლე. კვლევის თემა შევარჩიეთ კლასის არსებული მდგომარეობის გამო. ეს კლასი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი აკადემიური მოსწრებით და მოსწავლეთა ჩართულობით საგაკვეთილო პროცესზე. 2018-2019სასწ. წლის პირველ სემესტრის განმავლობაში კლასის ჩართულობამ იკლო, საგაკვეთილო პროცესი აღარ მიმდინარეოდა ისეთი ხალისით რასაც შეჩვეული ვიყავით. ამ დამოკიდებულებამ იმოქმედა მათ აკადემიურ მოსწრებაზე და პედაგოგებზე. გაჩნდა კითხვა, თუ რამ გამოიწვია კლასის მოტივაციის შეცვლა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დაგვედგინა მიზეზები და

გამოგვეყენებინა ის აქტივობები, რომელიც კლასს აუმაღლებდა მოტივაციას, რაც თავისთავად განაპირობებს მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. სწორედ ამ პრობლემამ მიმიყვანა ჩაგვეტარებინა პედაგოგიური კვლევა თემაზე „9^ზ კლასის მოტივაციის ამაღლების გზების კვლევა ფიზიკის და ბიოლოგიის გაკვეთილზე“

თავი II პრაქტიკული კვლევის არსი

2.1 პრაქტიკული კვლევის არსი

პრაქტიკის კვლევა სწავლების გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგიაა. იგი გულისხმობს მასწავლებლის მიერ სწავლე-სწავლებლასა და სასკოლო სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას. პრაქტიკული კვლევა სისტემურად უდგება პრობლემას. მასში კომბინირებულია პრაქტიკის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ქმედებები და რეფლექსია. კვლევის მონაწილე მასწავლებლები იძენენ ახალ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, უფრო თავდაჯერებულები ხდებიან სწავლების პროცესში.

ჩვენით საკვლევი თემა მოსწავლეთა მოტივაციას წარმოადგენს. ვთვლი, რომ მოტივირებული მოსწავლე, ეფექტიან სწავლა-სწავლების პროცესს განაპირობებს. კვლევაში გამოყენებული ინტერვენციები და მათი ანალიზი, საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ჩემი პედაგოგიური მიდგომები მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. შემდგომში, უფრო თავდაჯერებულად, კლასებს მოვარგო სხვადასხვა ინტერვენციები, რომელიც უფრო ეფექტურად გამოიწვევს, მათ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.

თავი III ლიტერატურის მიმოხილვა.

3.1 ლიტერატურის მიმოხილვა

არა მარტო სწავლას, არამედ ნებისმიერ აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად.

მოტივაცია გულისხმობს ისეთ ფაქტორებისა და სიტუაციის შექმნას, რომელიც მოსწავლეს

სწავლის ხალისსა და უნარს შემატებს რომელიც საფუძველს უქმნის ცოდნის მიღების ხარისხს. სასკოლო მოტივაცია თანამედროვე განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და მისი კორექციისათვის აუცილებელია მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევა.

21-ე საუკუნის სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან ერთად სხვადასხვა ტიპის სირთულეებმაც იჩინა თავი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი დაბალი მოტივაციაა. მოტივირებული მოსწავლე წარმატებული გაკვეთილის ჩატარების ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორია. არ შეგვიძლია, ვაიძულოთ მოსწავლეს, მოსწონდეს სკოლა და ჩვენი საგანი. საჭიროა დავანახოთ მოსწავლეს მიღებული ცოდნის ღირებულება, იმ უნარ ჩვეების განვითარება, რომელიც შემდგომში მის წარმატებულობას განაპირობებს.

გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა მეტად აქტუალური საკითხია. პედაგოგები მრავალ ხერხს მიმართავენ მოსწავლეთა აქტიურობის გასაზრდელად. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება რაც ხელს უწყობს განათლებისა და ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ტრენინგების საშუალებით, ურთიერთ თანამშრომლობის, გაზიარების, შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის შედეგად გავიაზრეთ, რომ მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალება არის: პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო, მასწავლებლის მოთხოვნები.

მასწავლებელი მოვალეა კარგი პიროვნული ურთიერთობები დაამყაროს მოსწავლესთან. კვლევები გვიჩვენებს რომ მოსწავლეები რომელსაც მოსწონს მასწავლებელი კეთილსინდისიერად ეკიდება სასწავლო პროგრამას, ნაკლებად ქმნიან დისიპლინურ პრობლემებს და ითვალისწინებენ მასწავლებლის მოთხოვნებს. კარგმა მასწავლებელმა რომ ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის გუნდური თანამშრომლობა, დაცულობა, პიროვნული ღირსებების შეფასება. როცა ბავშვები სკოლაში თავს სტუმრად არ გრძნობენ ნებისმიერ სამუშაოს ითავისიბენ. თანამედროვე პედაგოგიკის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ჯონ საფაიარი ამბობს „არაფერი განაპირობებს

მოსწავლის ქმედებას ისე ძლიერად როგორც მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანის მკაფიო მოთხოვნები“ მოსწავლისთვის კი ერთ ერთი მნიშვნელოვანი ადამიანი კი მასწავლებელია. მასწავლებლის მოთხოვნები გაკვეთილის აუცილებელი ნაწილია. მასწავლებლის მოთხოვნები უნდა იყოს მკაფიო, ნათელი და კარგად ჩამოყალიბებული.

თეო ჭყოიძე თავის სტატიაში“ სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები) აღნიშნავს სწავლის მოტივაციას და შესაბამისად გაკვეთილზე ჩართულობას განაპირობებს ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, დამოკიდებულებები, მოთხოვნები.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე. განვსაზღვრავთ რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფს.

მასწავლებლის ამოცანაა მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ რაც გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისაკენ. იმისათვის რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ბერძენიშვილი თავის სტატიაში „სტრატეგიები სწავლის მოტივაციის გასაზრდელად „ წერს რომ თითოეული მოსწავლისათვის და კლასისათვის არ შესრულდება სამი საბაზისო პირობა, არც ერთი მამოტივირებელი სტრატეგია არ იქნება წარმატებული. საკლასო გარემო უნდა იყოს პოზიტიური. მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს შეცდომების შიში.

აქტივობები დაკავშირებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესთან, გამოიწვიოს მათი ცნობისმოყვარეობა. ბევრი გაკვეთილი შეიძლება წარიმართოს სიმულაციები და თამაშების გზით. საჭიროა მრავალფეროვნება გაკვეთილის დაგეგმვის დროს. ამასთან დავალებები უნდა იყოს გამომწვევი. თუ დავალება მეტისმეტად მარტივია ან მეტისმეტად რთული მოსწავლეებს მცირე მოტივაცია ექნებათ.

დასავლური ფსიქოლოგები გამოყოფენ ე.წ. შინაგან და გარეგან მოტივაციას. ქართველი მეცნიერი დ. უზნაზე საუბრობს შემეცნებით ინტერესზე და სწავლის ღირებულებების მიმართ გაცნობიერებულ დამოკიდებულებაზე, რაც უახლოვდება დასავლური ფსიქოლოგიური სკოლის მიერ აღიარებულ შინაგან მოტივაციას.

მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვიძება დიდ გავლენას ახდენს სწავლა სწავლების პროცესზე, მაგრამ ასევე დადებითად მოქმედებს გარეგანი მოტივაციის სტრატეგიების გამოყენებაზე. გარეგანი მოტივაციის ფორმები: შექება, ჯილდი, ან სხვა ფორმით წახალისება სტიმულს აძლევს მათ შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. გარეგანი მოტივაცია ხანმოკლეა და ამიტომ სასურველია იგი გადავაქციოთ შინაგან მოტივაციად.

მიგვაჩნია რომ მოსწავლეთა მოტივაციის გასაზრდელად მნიშვნელოვანია გაკვეთილზე სწავლების მნიშვნელოვანი სტრატეგიების გამოყენება. მოსწავლე/ მასწავლებლის პოზიტიური დამოკიდებულება საგაკვეთილო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ეფექტური უკუკავშირის მიცემა. გარეგანი მოტივაციის ფორმები დადებითად მოქმედებს მოსწავლეებზე და სწორედ აქ იკვეთება მასწავლებლის როლი და მისი პროფესიონალიზმი, როდესაც გარეგან მოტივაციას გადაიყვანს შინაგან მოტივაციაში.

თავი IV კვლევის მიზანი, კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები.

4.1 კვლევის მიზანი

შევისწავლოთ მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის მიზეზები და მასთან დაკავშირებული სირთულეები, გამოინახოს პრობლემის გადაჭრის გზები და შესაბამისი სტრატეგიები მოტივაციის ასამაღლებლად.

4.2 კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები:

გავეცანით რა კვლევის შესახებ ლიტერატურას, ჩამოვაყალიბეთ მთავარი კითხვა და ქვეკითხვები. გვინტერესებდა, თუ რამ განაპირობა საბუნებისმეტყველო საგნებში, კერძოდ, ფიზიკა-ბიოლოგიაში მოტივაციის დადაბლება და აქვთ თუ არა იგივე პრობლემა სხვა საგნის პედაგოგებს.

საკვლევი საკითხის აქტუალობის დასადგენად შევადგინეთ კითხვარი და შევავსებინეთ ამ კლასში შემსვლელ ყველა პედაგოგს.(დანართი 1) მათთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რა შეიძლება იყოს აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და რა ღონისძიებებით შეიძლება აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

კვლევის მთავარი შეკითხვა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ:

- როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია გაკვეთილის მიმდინარეობისას?

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება შემდეგი ქვეკითხვები:

- არის თუ არა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთ პოზიტიური გარემო
- რა სტრატეგიები და აქტივობები დამეხმარება, რომ გავზარდო მოსწავლის შინაგანი მოტივაცია.
- გარეგანი მოტივაციის რა მიდგომები იმოქმედებს დადებითად კლასზე და გაზრდის მათ მოტივაციას.
- მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით რამდენად სწორად ვურჩევთ დავალებებს.
- ხომ არა არის პრობლემების მიზეზი სახელმძღვანელო და ტესტების სირთულე.
- რამდენად ხშირად იყენებს მასწავლებელი ეფექტურ უკუკავშირის.
- აცნობიერებს თუ არა მოსწავლე , რომ ფიზიკაში მიღებული ცოდნა შეუძლია, გამოიყენოს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

4.3 კვლევის გეგმა

საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდები გამოვიყენეთ. ვიმუშავეთ ფოკუს ჯგუფთან, ჩავატარეთ ანკეტირება, ინტერვიუები და კითხვარებით გამოკითხვები.

კითხვარები მომზადდა 25 მოსწავლისთვის და მათი მშობლებისთვის. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 24 მოსწავლემ და მშობელმა. ასევე გამოიკითხა 9 მასწავლებელი.


პირველ რიგში, გადავწყვიტე დამედგინა, ჰქონდათ, თუ არა იგივე პრობლემა ამ კლასის სხვა პედაგოგებს. შეინიშნებოდა თუ არა მათ გაკვეთილებზეც მოსწავლეთა დემოტივაცია. ამისთვის მათ შევავსებინე კითხვარი (დანართი3).

იმისთვის, რომ დაგვედგინა თუ რამდენად მოტივირებულია მოსწავლე, ან რა განაპირობებს მისი მოტივაციის ამაღლებას, გამოვიყენეთ მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირება (დანართი1,2)


თავი V მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები, მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, მონაცემთა ანალიზი.

5.1 მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები.


1. განსაზღვრავს თუ არა ქულა, თქვენს მოტივაციას?




2. გრძნობთ თუ არა მასწავლებლიდან პოზიტიურ დამოკიდებულებას.




3. გიქვეითებს თუ არა დავალების სირთულე მოტივაციას.




4. მასწავლებლის მხრიდან სიტყვიერი შექება ან წახალისება ზრდის თუ არა შენს მოტივაციას.




5. როდის უფრო ხარ ჩართული საგაკვეთილო პროცესში?




6. როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა თქვენთვის?



7. შეგიძლია თუ არა მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში




8. დებულობთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლისგან?




5.2 მშობელთა გამოკითხვა


1. როგორ ეხმარებით პედაგოგებს თქვენი შვილის მოტივაციის ამაღლებისათვის



2. მოტივაციის ამაღლების კუთხით რამდენად იყენებთ შვილთან გარეგან სტიმულს, ჯილდოს.



3. ვინ ეხმარება ბავშვს სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებაში



5.3 მონაცემთა ანალიზი

მასწავლებელთა გამოკითხვამ და მისმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოტივაციის დადაბლება მე-9 კლასის მოსწავლეებში ნამდვილად შეიმჩნეოდა.

- მასწავლებლები იცნობენ მოტივაციის ამალღების ეფექტურ სტრატეგიებს, თუმცა ყოველთვის ვერ, ან არ იყენებენ მას გაკვეთილზე.
- მოტივაციის ასამალღებლად, ახდენენ კლასის დიფერენცირებას, მაგრამ იშვიათად.
- ხშირად იყენებენ წახალისების ფორმებს, მაგრამ ეს ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს მოსწავლის მოტივაციის ამალღებაზე.
- ამ ასაკში გარკვეული ასაკობრივი ინდივიდუალური სირთულეები შეინიშნება, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე.

ზემოთთქმულის გათვალისწინებით, მასწავლებლებმა რეკომენდაცია მოგვცეს, კიდევ ერთხელ, გავსაუბრებოდით დამრიგებელს თითოეული მოსწავლის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

მშობელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათ აქვთ საუბრები შვილთან, ხშირად იყენებს გარეგანი მოტივაციის ფორმებს - საჩუქრებს, სურვილების ასრულებას და ა.შ.

გამოკითხულ მშობელთა 74%-მა შვილის მოტივაციის ამალღებაში მასწავლებელს მიანიჭა უპირატესობა. შესაბამისად, მშობლებმა მასწავლებლებს დაგვაკისრეს მათი შვილების მოტივირება.

მოსწავლეთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მასწავლებელი უნდა იყოს ხალისიანი პოზიტიური საკლასო ატმოსფეროს შესაქმნელად. იგი გაკვეთილებს საინტერესოდ უნდა ხსნიდეს. აქტივობები უნდა იყოს დიფერენცირებული და ყველა მოსწავლეზე მორგებული. მოსწავლეებს ხშირად უნდა უტარდებოდეთ ლაბორატორიული პრაქტიკული გაკვეთილები, რაც მათ მოტივაციას გამოიწვევს. აგრეთვე დადებითად მოქმედებს მოსწავლეებზე წახალისება, დროული უკუკავშირის მიღება. ხოლო დავალებების სირთულე მოსწავლეებს მოტივაციას უკარგავთ. დავალებები უნდა შეირჩეს დონის შესაბამისად და ნელ-ნელა მოხდეს მისი გართულება. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ

მოსწავლეებს უჭირთ ცოდნის ტრანსფერი და შესაბამისად შესწავლილი თეორიის პრაქტიკაში გამოყენება.

თავი VI

6.1 სავარაუდო ინტერვენციები

კვლევის მეთოდებმა ცხადყო, რომ საჭიროა

- სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან და მოტივაციის ამაღლების საშუალებების შესახებ ლიტერატურის გაცნობა- განხილვა.
- კლასის დიფერენცირებულად დაყოფა
- ფოკუს ჯგუფების შექმნა
- საინტერსო აქტივობების დაგეგმვა/ჩატარება.
- ჯგუფური სამუშაოების დაგეგმვა
- დავალებების დიფერენცირებულად შერჩევა.
- ეფექტური უკუკავშირის გამოყენება
- მიღებული ცოდნის ტრანსფერი და პრაქტიკაში გამოყენება.
- გარეგანი მოტივაციის ფაქტორების გამოყენება გაკვეთილის მსვლელობისას.

6.2 ინტერვენციები

ინტერვენცია 1.

ნიუტონის კანონების შესწავლის შემდეგ კლასის მოსწავლეებს ჩავუტარე შესამოწმებელი ტესტირება. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ დავალებას თავი გაართვა 5-მა მოსწავლემ-კარგად, 7 -მა მოსწავლემ- საშუალოდ, 11 -მა მოსწავლემ- ცუდად. ტესტის ბოლოს იყო შეკითხვა, მოსწანდათ თუ არა მსგავსი ტიპის ტესტი. 18-მა მოსწავლემ უარყოფითი პასუხი დააფიქსირა. ტესტი მისაღები იყო იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც თითქმის ყველა დავალება დაძლიეს. ტესტმა და

შეკითხვაზე პასუხმა დამაფიქრა კლასის დიფერენცირებულად დაყოფაზე, სპეციალური ტესტის საშუალებით. (დანართი 4)

ტესტირების საფუძველზე, შევადგინე ჯგუფები, სადაც გავაერთიანე თანაბარი შესაძლებლობის მოსწავლეები. ვადგენდი ჯგუფის შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს და ყოველი გაკვეთილის 15-20 წუთს ვუთმობდი დავალების შესრულების აქტივობას ორი კვირის განმავლობაში. მოსწავლეებს ვაძლევდი მკაფიო ინსტრუქციებს და მითითებებს. ამ აქტივობამ კლასი გახადა აქტიური და მოტივირებული, რადგან დავალებები იყო დაძლევადი. ჩართულობამ განაპირობა აკადემიური დონის ამაღლება რაც აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.

ინტერვენცია 2

ფიზიკის საგანში თეორიული მასალის გაცნობა და შესწავლა მოსწავლეთათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. მოსწავლეები მოტივირებულნი და ჩართული რომ გამეხადა საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენე „გაჩერებებით“ სწავლება.

ინტერვენცია 3

გარეგანი მოტივაციის მისაცემად, დავგეგმე გაკვეთილი ეზოში თემაზე „დამალული განძის პოვნა“. თუ დავალებებს სწორად შეასრულებდნენ, იპოვიდნენ სკოლის ეზოში დამალულ განძს. „განძი“ წარმოადგენდა ჯილდოს, რომელსაც ჯგუფი საჩუქრად მიიღებდა. გარეგანი მოტივაციის ელემენტების გამოყენებით მოსწავლეები გახდნენ მოტივირებულები, შესაბამისად იმუშავეს თემის გარშემო, რადგან დავალების სწორად შესრულება წარმოადგენდა ჯილდოს მიღების აუცილებელ პირობას.

ინტერვენცია 4

ფიზიკის სწავლებას მე-9 კლასში კვირაში 3 საათი აქვს დათმობილი. აპრილის თვეში ყოველი მეოთხე გაკვეთილი იყო „ცდების გაკვეთილი“. მოსწავლეები ლაბორატორიაში ატარებდნენ ცდებს, აკეთებდნენ მონაცემთა აღრიცხვას, აკვირდებოდნენ მოვლენას და წერილობით წარმოადგენდნენ მას. შეეძლოთ, ენახათ სხვა ჯგუფების საქმიანობა. მიეღოთ შეკითხვებზე პასუხი. გაკვეთილი განსხვავებულ ფორმატში მიმდინარეობდა, რითაც

რიგითი რუტინული გაკვეთილისგან სრულებით განსხვავდებოდა და დიდ ინტერესსაც იწვევდა მათში.

ინტერვენცია 5

განმავითარებელი კომენტარის და პოზიტიური უკუკავშირის მიცემისათვის შევიმუშავე ფორმა, სადაც ყოველი გაკვეთილის შემდეგ ვინიშნავდი, რა სიხშირით ვაძლევდი მოსწავლეებს ეფექტურ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესში. ორ კვირაში ერთხელ ვკრეფდი მოსწავლეების საკლასო რვეულებს და წერილობითი ფორმით ვაკეთებდი განმავითარებელ კომენტარებს.

გამოვიყენე ორმხრივი დღიური, სადაც მასწავლებელი მოსწავლეს უწერს ეფექტური უკუკავშირის შესაბამის კომენტარებს, ეს დღიური იდება მისთვის მიჩენილ თაროზე. მოსწავლე იღებს დღიურს, ეცნობა კომენტარს, რომელიც მას ეხება. სურვილისამებრ შეუძლია დაწეროს თავისი კომენტარიც და ბოლოს დღიურს დებს მოსწავლეთათვის განკუთვნილ ადგილას. ამ აქტივობამ, ორი თვის განმავლობაში, საშუალება მოგვცა ერთმანეთის განწყობისა და აზრების გაცნობიერებისა, რამაც პოზიტიური დამოკიდებულებები ჩამოაყალიბა ჩვენს შორის და საგრძნობლად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია.

ინტერვენცია 6

ვიზიტი თვალის ექიმთან. ამ აქტივობით მოსწავლეებმა შეძლეს დაენახათ, რა სასარგებლო გამოყენება აქვს პრაქტიკაში იმ თეორიულ მასალას, რომელთაც ფიზიკის გაკვეთილზე შეისწავლიან. აქტივობამ მოსწავლეებს ნათლად დაანახა ფიზიკის თეორიული ცოდნის აუცილებლობა მის პრაქტიკაში გამოსაყენებლად. რა თქმა უნდა, მსგავსი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ და მოტივირებულად განეწყონ ფიზიკის საგნის მიმართ.

6.3 ინტერვენციების ანალიზი

კლასის დიფერენცირებამ საშუალება მომცა თითქმის ყველა მოსწავლე მოტივირებული და ჩართული გამეხადა საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეები გაკვეთილის იმ ეტაპზე იყვნენ განსაკუთრებულად მოტივირებულები, როცა ვიყენებდი ჯგუფურ სამუშაოს შესაბამისი დონის ტესტებით.

გაჩერებებით სწავლებისას სხვადასხვა ხერხით მიწოდებულმა ერთი და იგივე თემამ მოსწავლისათვის უფრო დასამახსოვრებელი და გასაგები გახადა მასალა, რამაც განაპირობა მოსწავლეების აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

გარეგანი მოტივაციის ელემენტის გამოყენებამ დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს აისახა ჯგუფების აქტიურობასა და დავალების სწორად შესრულებაში.

„ცდების გაკვეთილებმა“ და „ვიზიტმა თვალის ექიმთან“ მოსწავლეებში განაპირობა ინტერესი საგნის მიმართ და გამოუმუშავა ტრანსფერის უნარი.

ინტერვენცია 5-ი, კომენტარების დღიური ჩემთვის აღმოჩენა იყო, რადგან, გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება სწავლის გარეშე არ არსებობს და რომ გაკვეთილს „სწავლა-სწავლების“ პროცესი ჰქვია, ორივე მხარე, მეც და მოსწავლეებიც „ურთიერთმასწავლებლები“ ვიყავით. რა თქმა უნდა, ეს საშუალებას მძლევდა, ჩამეტარებინა ე.წ. დემოკრატიული ტიპის გაკვეთილი, რაც ერთ-ერთი საფუძველია მოტივაციის ამაღლებისა.

თავი VII. კვლევის მიგნებები , ნაკლოვანებები და დასკვნა

7.1 კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
	+					

პრობლემის იდენციფირება						
მასწავლებელთა შეხვედრა	+	+	+	+	+	+
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	+					
ინტერვიუ მასწავლებელთან		+				
ანკეტირება მოსწავლეების		+				
ანკეტირება მშობლების		+				
მონაცემთა ანალიზი		+				
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა		+	+			
ინტერვენციის განხორციელება			+	+	+	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი					+	+
კვლევის ანგარიშის მზადება და წარდგენა.						+

7.2. კვლევის მიგნებები

- დიფერენცირებული მიდგომა დაბალი მოტივაციის პრობლემის გადასაჭრელად საუკეთესო გზა იყო.
- მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა კუთხით მიეწოდოთ საკითხის სრულყოფილად გასაგებად, რაც, თავისთვად განაპირობებს მოსწავლის მოტივირებულობას და ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.
- მასწავლებლებმა უნდა მივმართოთ გარეგანი მოტივაციის ასამაღლებელ აქტივობებს, როგორცაა ჯილდო, თუმცა არა ხშირი ინტენსივობით.
- პრაქტიკული გაკვეთილები და შესწავლილი თეორიის რეალურ სიტუაციებში გამოყენება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციის დონეს.
- პოზიტიური, მეგობრული, სანდო გარემოს შექმნა დადებითად მოქმედებს მოსწავლეების მოტივაციაზე.

7.3. კვლევის ნაკლოვანება

მიუხედავად იმისა, რომ კვლევამ ბევრი საინტერესო რამ დამანახა, მასწავლა და გამოყენებულმა ინტერვენციებმა ნამდვილად დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე, ვთვლი რომ ნაკლოვანება მაინც ჰქონდა. კერძოდ : პრაქტიკიდან გამომდინარე, გავანალიზე, რომ დროის სიმცირის გამო დიფერენცირებული მიდგომის დადებით შედეგებზე ზუსტი მონაცემები მაინც ვერ მოვიპოვე, რადგან ამის გამოცდილება არ მქონდა. დიფერენცირებული მიდგომისას, რა თქმა უნდა, მოსწავლეების მოტივაცია გაიზარდა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს დროებითი გარეგანი ფაქტორი იყო. ამიტომ დიფერენცირებულ მიდგომას ცალკე კვლევად მოვიაზრებ მომავალში.

7.4. დასკვნა

თანამედროვე სასკოლო გარემო საკმაოდ განსხვავებულია 10 და 20 წლის წინანდელი სასწავლო გარემოსგან. ეს განაპირობებს მასწავლებელთა მონდომებას, რომ ფლობდნენ იმ

უნარებს, რომელიც დაეხმარება მათ მოსწავლეებთან მეგობრული, პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა მასწავლებლისგან დიდი დაკვირვებას, ცოდნას, და პროფესიული უნარების ფლობას მოითხოვს. მათი დამოკიდებულება სასწავლო პროცესისადმი პირდაპირ აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე და მათ შედეგებზე. რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა, მსგავსი გარემო და მორგებული აქტივობების განხორციელებამ დადებითად იმოქმედა ჩემი სამიზნე ჯგუფის მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებაზე. მოტივაცია კი, როგორც უკვე აღვნიშნე მძლავრი მოტორია, რომელიც გაიძულებს, მიუახლოვდე მიზანს და მთავარი ძალაა რეალიზებული პიროვნებების ჩამოყალიბებაში.

ბიბლიოგრაფია

1. „მასწავლებლის საქმიანობის გზამკვლევი“ ნაწილი 2.
2. თეო ჭყოიძე „სწავლების შიგა ფაქტორები“ ჟურნალი მასწავლებელი 2012წ N2.
3. <http://mastsavlebeli.ge/?p=1528> ც. ბერძენიშვილის 2015წ. „სტრატეგიები სწავლების მოტივაციის გასაზრდელად“
4. <https://www.slideshare.net/tamarkakachia/ss-61039881> როგორ ვიმუშაო პედაგოგიურ კვლევაზე.
5. <http://mastsavlebeli.ge/?p=281> სოფო ლობჯანიძე „როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევა“
6. <https://b2p.ge/ra-aris-motivacia/> რა არის მოტივაცია.
7. <http://mastsavlebeli.ge/?p=2397> სწავლების მოტივაცია
8. <https://edu.aris.ge/news/rogor-avamaRloT-moswavleTa-saswavlo-motivacia.html>
9. <https://edu.aris.ge/news/ra-faqtorebi-uwyooben-xels-swavlis-motivaciis-amaRlebas.html> ჭყოიძე.

დანართი 1

მოსწავლის ანკეტა

1. განსაზღვრავს თუ არა ქულა, თქვენს მოტივაციას?
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ
2. გრძნობთ თუ არა მასწავლებლიდან პოზიტიურ დამოკიდებულებას.
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ
3. გიქვეითებს თუ არა დავალების სირთულე მოტივაციას.
ა) დიახ ბ)არა გ) ნაწილობრივ
4. მასწავლებლის მხრიდან სიტყვიერი შექება ან წახალისება ზრდის თუ არა შენს მოტივაციას.
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ
5. შეგიძლია თუ არა მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში
ა)დიახ ბ)არა გ)ნაწილობრივ
6. ღებულობთ თუ არა პოზიტიურ უკუკავშირს მასწავლებლისგან?
ა)დიახ ბ) არა გ)ნაწილობრივ
7. როდის უფრო ხარ ჩართული საგაკვეთილო პროცესში?
ა)ჯგუფური მუშაობის დროს ბ) დამოუკიდებლად მუშაობის დროს.
8. როგორი გაკვეთილი უფრო საინტერესოა თქვენთვის?
ა)ლექციური ბ)ექსპერიმენტი გ)სხვადასხვა სახალისო აქტივობებით.

დანართი 2

ანკეტა მშობლებისათვის

10. როგორ ეხმარებით პედაგოგებს თქვენი შვილის მოტივაციის ამაღლებისათვის
ა)ვთანამშრომლობ პედაგოგებთან ბ) ვსაუბრობ შვილთან

11. მოტივაციის ამაღლების კუთხით რამდენად იყენებთ შვილთან გარეგან სტიმულს, ჯილდოს.
 - ა)კი ბ)არა გ) ნაწილობრივ
12. ვინ ეხმარება ბავშვს სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებაში
 - ა)მშობელი ბ)მასწავლებელი გ)მოსწავლე

დანართი 3

ინტერვიუ მასწავლებელთან

1. როგორია კლასის მოტივაცია თქვენს საგანში?
2. არის თუ არა თქვენსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთ პოზიტიური გარემო.
3. როგორ ფიქრობთ რა განაპირობებს კლასის მოტივაციას.
4. იყენებთ თუ არა გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს.
5. ახდენთ თუ არა მოსწავლეთა დიფერენცირებას საგაკვეთილო პროცესში.
6. თქვენი აზრით ზრდის თუ არა მოტივაციას შექება ან წახალისება.
7. რა იწვევს მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითებას საბაზო საფეხურზე.

დანართი 4

ტესტი

1. (1ქულა) ჩამოაყალიბეთ ნიუტონის პირველი და მეორე კანონი.
2. (1ქულა) როგორ შეიცვლება სხეულზე მოქმედი ძალა, თუ მასას გავზრდით ოთხჯერ და აჩქარებას ხუთჯერ.
3. (1ქულა) მასა არის
 - ა) ფიზიკური სიდიდის საზომი ერთეული. ბ)ურთიერთქმედების ზომა.
 - გ)სხეულის თვისება. დ)სხეულის ინერტულობის ზომა.
4. (1ქულა) მთიდან დაშვებულ ციგას ბიჭი ამუხრუჭებს 2მ/წმ²აჩქარებით.ციგისა და ბიჭის საერთო მასაა 40კგ-ია.მაშინ დამამუხრუჭებელი ძალის მოდულია
 - ა)205. ბ)405. გ)425. დ)805

5. (2ქულა) 200დმ³ მოცულობის სხეული, რომლის სიმკვრივეა 1500კგ/მ³, მოძრაობს თანაბარჩქარებულად. მისი სიჩქარე 5წმ-ში შეიცვალა 36კმ/სთ-დან 72კმ/სთ-მდე. გამოთვალეთ ამ სხეულზე მოქმედი ძალა.
6. (2ქულა) სხეული მოძრაობის დაწყებიდან 2 წამში გადის 10მეტრს. რას უდრის 40 კგ მასის სხეულზე მოქმედი ძალა
7. (2ქულა) სხეულის მოძრაობა აღიწერება განტოლებით $X=2+5t+4t^2$. სხეულის მასაა 600 გრამია. იპოვეთ სხეულის აჩქარება, სიჩქარე, ძალა, გადაადგილება, მუშაობა, კინეტიკური ენერჯია როცა $t=10$ წმ-ს. ააგეთ $v(t)$ და $x(t)$ გრაფიკები.

უპასუხე შეკითხვას.

მოგწონთ ესეთი ტიპის ტესტი

- დიახ.
- არა

დანართი 5

ჯგუფი1

- 1 ჩამოაყალიბეთ ნიუტონის პირველი კანონი.
- 2 ჩამოაყალიბეთ ნიუტონის მეორე კანონი.
- 3 ნიუტონის მეორე კანონი გამოსახება ფორმულით?
ა) $F=ma$ ბ) $F=m/a$ გ) $F=mg$ დ) $F=mv$
- 4 სხეული რომლის მასაა 20კგ მოძრაობს 5მ/წმ² აჩქარებით. გამოთვალეთ სხეულზე მოქმედი ძალა.
ა) 20ნ. ბ) 40ნ. გ) 100ნ. დ) 80 ნ
- 5 რა აჩქარებას ანიჭებს ბავშვი 100ნ ძალის მოქმედების შედეგად, 25კგ მასის ურიკას.

ჯგუფი2

- 1 ჩამოაყალიბეთ ნიუტონის მეორე კანონი
- 2 ჩამოაყალიბეთ ნიუტონის მასამე კანონი
- 3 ბავშვი რომელიც მოძრაობს ველოსიპედით სიჩქარე 2მ/წმ-დან 5მ/წმ-მდე გაზარდა 30წმ-ის განმავლობაში. იპოვეთ სხეულზე მოქმედი ძალა.
- 4 რა მასის სხეულზე მოდებულია 200ნ ძალა თუ ის მას 4მ/წმ² აჩქარებას ანიჭებს.

ჯგუფი3

- 1 ურთიერთქმედების შედეგად 10კგ მასის სხეულმა 40წ დალით იმოქმედა 50კგ მასის სხეულზე. რა დალით იმოქმედა 50კგ მასის სხეულმა 10კგ მასის სხეულზე. პასუხი დაასაბუთე.
- 2 50კგ მასის სხეულზე იმოქმედეს დალით, რომელმაც სხეულს 8მ/წმ^2 აჩქარება მიანიჭა. რა აჩქარებას მიანიჭებს იგივე დალა 250კგ მასის სხეულს
- 3 200დმ^3 მოცულობის სხეული, რომლის სიმკვრივეა 1500კგ/მ^3 , მოძრაობს თანაბარაჩქარებულად. მისი სიჩქარე 5წმ-ში შეიცვალა 36კმ/სთ -დან 72კმ/სთ -მდე. გამოთვალეთ ამ სხეულზე მოქმედი დალა.
- 4 სხეულის მოძრაობა აღიწერება განტოლებით $X=2+5t+4t^2$. სხეულის მასაა 600 გრამია. იპოვეთ სხეულის აჩქარება, სიჩქარე და მასზე მოქმედი დალის მოდული

ჯგუფი 4

- 1 სხეულზე მოქმედი დალთა ტოლქმედი ტოლია ნულის. რა სახის მოძრაობას ასრულებს სხეული. პასუხი დაასაბუთეთ.
- 2 სხეულთა აჩქარებების შეფარდება $2/3$ -ია. იპოვეთ მასათა შეფარდება.
- 3 უძრავ 100კგ მასის ურიკაზე იმოქმედეს დალით რომელმაც 10წმ-ში 50მ გაიარა. იპოვეთ ურიკაზე მოქმედი დალა?
- 4 სხეულის მოძრაობა აღიწერება განტოლებით $X=2-5t+4t^2$. სხეულის მასაა 800 გრამია. იპოვეთ სხეულის აჩქარება, სიჩქარე და მასზე მოქმედი დალის მოდული

რეფლექსია

მოტივაცია კაცობრიობის წინსვლისთვის საუკუნეების განმავლობაში უმთვრესი ფაქტორი იყო და არის. მისი კვლევა, რა თქმა უნდა, რომ დიდ ინტერესს აჩენს დღესაც, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ 21-საუკუნის მოსწავლეების გატაცებას საქმის იოლად კეთების მიმართ. მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების პრობლემა ბევრ ჩემს კოლეგასაც აქვს, ამიტომ კვლევის პროცესში მათი გარკვეული ნაწილი დიდი ინტერესით ჩაერთო.

სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ არა მარტო ფოკუს ჯგუფის წევრები, არამედ სხვა დისციპლინის მასწავლებლებიც. გარდა ამისა, კვლევის პროცესში სამიზნე კლასის

მოსწავლეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ და ცდილობდნენ მაქსიმალურ შედეგებზე გასულიყვნენ. ანუ, ჩემი კვლევის პროცესითაც კი მათში მოტივაცია ერთი-ორად გავზარდე.

კვლევის შედეგები გავაცანი ყველა დაინტერესებულ კოლეგას, აგრეთვე სამიზნე კლასის მოსწავლეებსაც, როლებმაც მზაობაც კი გამოაცხადეს მომდევნო კვლევაში ჩართულობის შესახებ.

კარგად ჩანს, რომ კვლევამ შედეგზე გამიყვანა, რაც ჩემმა კოლეგებმაც აღნიშნეს. თუმცა კვლევის განხილვისას მოვისმინე განსხვავებული აზრიც. რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ კვლევის თემატიკიდან და მშობელთა ჩართულობიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, კვლევის შედეგების მათთვის გაცნობაც. მე გავითვალისწინებ მათ აზრს და აუცილებლად დავგეგმავ საჭირო აქტივობას.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ მას შემდეგ, რაც გარკვეული გამოცდილება მივიღე ჩემი კვლევის ჩტარების პროცესში და ღრმად ჩავწვდი კვლევის არსს, აღმოვაჩინე, არსებითად მნიშვნელოვანია კვლევების წარმოება როგორც მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ასამაღლებლად, ასევე სწავლების პროცესის დასახვეწად, რაც თავის მხრივ მოსწავლეთა ინტერესს და შესაბამისად, მოტივაციის დონეს აუცილებლად აამაღლებს.

